ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3157996

ნომერი: AR1485225

თარიღი : 10.03.2017

გაცემის თარიღი : 31.03.2017

გაცნობის თარიღი : 02.04.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე / ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჭელიძე პ/ნ 01010013134
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 10 მარტის #AR1485225 განცხადების პასუხად გაცნობებთ, სამსახურის 2013 წლის 13 დეკემბრის №1031373 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში და აღნიშნული ქალაქმშენებლობით

პირობებიდან ამოღებული იქნა ყველა დათქმა განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით, ამასთან საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

აქედან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ველში. სამსახურში განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგნაირად: სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები''–ს არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება“, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურ რეჟიმში განგისაზღვრავთ წარმოსადგენ დოკუმენტაციას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, უფლებამოსილი სამსახური იმსჯელებს განაცხადში მითითებულ საკითხზე და მიღებულ გადაწყვეტილება გეცნობებათ ელექტრონულად, კანონით დადგენილი წესით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.